



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 17

2020 წელი 28 ოქტომბერი

ქ. ბაღდათი

10:00 საათი

2020 წლის 28 ოქტომბერს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: შალვა მშვილდაძე, ნოდარ გიორგიძე ირინა ტყემელაშვილი, ფრიდონ მაჩიტაძე, გია სახამბერიძე, დიომიდე კიკნაველიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, გურამი კიკნაველიძე, გვანცა გრძელიძე, თემურ მინაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, მურად ბურჯანაძე, რუსუდან გეწაძე, კობა მშვილდაძე, სიმონ ჭოლოკავა, მაკა მესხი, ირაკლი გოგსაძე, გაბრიელ ლიბრაძე.

საკრებულოს წევრები: სულ 19 წევრი.

არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები: თორნიკე გაჩეჩილაძე, შადიმან გორგოძე, ზაზა ზივზივაძე, გიორგი რობაქიძე, ვლადიმერ წიქორიძე, მამუკა გორგოძე, ალექსი ლომინაშვილი, თეონა ფახურიძე, შალვა დათუაძე, მაია კბილაშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

მარეხი მშვენურიძე - მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი.

მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

გოჩა გრძელიძე - მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (შშმპ) საკითხებში.

საკრებულოს აპარატის უფროსი - ნოდარ ებანოძე.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19 წევრმა, დაესწრო 19 საკრებულოს წევრი.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე, შ. მშვილდაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია: „ზამთრის სეზონისათვის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სათბობი საშუალებით უზრუნველყოფის, მოსახლეობისათვის ელ. ენერჯის და ბუნებრივი აირის უწყვეტ რეჟიმში მიწოდების კუთხით ჩატარებული მუშაობის შესახებ.

მომხს. მარეხი მშვენიერაძე-მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი.

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია ‘მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე(შშმ) პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის 2020 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. გოჩა გრძელიძე - მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი შეზღუდული შესაძლებლობების პირთა საკითხებში.

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებლად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი

5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 19 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებთან დაკავშირებული განმარტებითი ბარათი საკრებულოს წევრებს გააცნო: **ლერი გუმბერიძე-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.**

აზრი გამოთქვას:

ირინა ტყემელაშვილი - საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, იგი დაინტერესდა კოვიდ ინფიცირებული ადამიანების გარდაცვალების გამო ოჯახებზე დახმარების საკითხით და საბავშვო ბაღის თანამშრომლებზე ხელფასების მომატების მდგომარეობით.

შალვა მშვილდაძემ-საკრებულოს თავმჯდომარე, მან მომხსენებელთან ერთად განმარტა ი. ტყეშელაშვილის მიერ დასმული საკითხებთან დაკავშირებული არსებული მდგომარეობა.

საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო : **გურამი კიკნაველიძემ, ამავე კომისიის თავმჯდომარემ.**

საკრებულო ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 21 28.102020წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწვეტილება მიღებულია

მომხრე- 18 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია: „ზამთრის სეზონისათვის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სათბობი საშუალებით უზრუნველყოფის, მოსახლეობისათვის ელ. ენერჯის და ბუნებრივი აირის უწყვეტ რეჟიმში მიწოდების კუთხით ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ინფორმაცია წარმოადგინა: **მარეხი მშვენიერაძემ-მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი.**

საკრებულოს სხდომამ **გადაწვეტიტა:**

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42 53 28.10.2020წ (განკარგულება თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაცია ‘მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე(შშმ) პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის 2020 წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

ინფორმაცია საბჭოს მუშაობის თაობაზე საკრებულოს წევრებს მიაწოდა: **გოჩა გრძელიძემ-მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი შეზღუდული შესაძლებლობების პირთა საკითხებში.**

საკრებულოს სხდომამ **გადაწვეტიტა:**

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42 54 28.10.2020წ (განკარგულება თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებლად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

2021 წელში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა: **კახა მსხვილიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.**

საკრებულოს კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო- **სიმონ ჭოლოკავამ,** საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42 55 28.10.2020წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-18 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 18 საკრებულოს წევრი

მ ო ს მ ი ნ ე ს: 5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო- სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 56 28.10. 2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-16 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 16 საკრებულოს წევრი

მ ო ს მ ი ნ ე ს: 6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო- სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 57 28.10. 2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-16 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 16 საკრებულოს წევრი

მ ო ს მ ი ნ ე ს: 7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო- სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 58 28.10. 2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-16 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 16 საკრებულოს წევრი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე:

შალვა მშვილდაძე